

7 რეკომენდაცია იმაზე, თუ როგორ  
ავიცილოთ თავიდან დეზინფორმაცია  
კორონავირუსის პანდემიის დროს



### 1. გაეცანით დაავადების საფუძვლებს

რა არის მისი სიმპტომები? როგორ ვრცელდება? რომელ სხვა დაავადებებს ჰგავს? რაც უფრო მეტი ინფორმაცია გექნებათ დაავადებაზე, მით უფრო უკეთ შეძლებთ ინტერნეტში დეზინფორმაციის აღმოჩენას. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ საწყის ეტაპზე არსებული ინფორმაცია, შესაძლოა, არასაკმარისი იყოს. დაავადების შესახებ ინფორმაციას გაეცანით [დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ეროვნული ცენტრის](#) ან [ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდებზე](#).

### 2. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამბებს, სადაც წერია, რომ დაავადების გავრცელება დაგეგმილი იყო

საწყის ეტაპზე თითქმის შეუძლებელია, იმის დადგენა, თუ საიდან დაიწყო ეპიდემია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ საქმე ახალ დაავადებას ეხება. ზუსტად ამ დროს საქმეში შეთქმულების თეორიები ერთვება. ამ მხრივ, კორონავირუსთან დაკავშირებით, სხვადასხვა მტკიცებას ჰქონდა ადგილი. ზოგიერთი კონსპირაციული ვარაუდის თანახმად, დაავადება [ბიოლოგიური იარაღია](#), ის [ლაბორატორიაში შეიქმნა](#) ან [ეპიდემიის ორგანიზება](#) ძალაუფლების მქონე პირის მიერ მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით მოხდა. ნუ აპყვებით ცდუნებას და ნუ გააზიარებთ მსგავს დაუსაბუთებელ ინფორმაციას.

### 3. გადაამოწმეთ ეპიდემიასთან დაკავშირებით გავრცელებული სურათები, ვიდეო და აუდიო მასალა

ეპიდემიის მიმდინარეობა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ან შეცდომაში შემყვანი ვიზუალური მასალის გასავრცელებლად მეტად ხელსაყრელი დროა. სკეპტიკურად მიუდევით იმ სურათებს, ვიდეო და აუდიო მასალას, რომლებიც აღწერის მიხედვით, დაავადებულ ადამიანებს ან დაავადების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებს ასახავს, თუკი ისინი ოფიციალური წყაროს ან სანდო მედიის მიერ არაა გავრცელებული. მსგავსი ინფორმაციის სისწორეში, როცა ეჭვი შეგეპარებათ, გამოიყენეთ სურათის ძებნის ისეთი საშუალებები, როგორცაა [Google Reverse Image Search](#), [RevEye](#) და [InVid](#). მათი მეშვეობით, სოციალურ მედიაში გავრცელებული სურათებისა და ვიდეო მასალის თავდაპირველი კონტექსტის დადგენას შეძლებთ.

თუკი თქვენ თავად ვერ ამოწმებთ მასალის სისწორეს, მიმართეთ საქართველოში მოქმედ ფაქტების გადამამოწმებელ ორგანიზაციებს, მათ შორის [factcheck.ge](#)-ის რედაქციას (მისი [Facebook გვერდის](#) საშუალებით) ან [მითების დეტექტორს](#) (მისი [Facebook გვერდის](#) საშუალებით).



# დეზინფორმაციის სახელმძღვანელო: კორონავირუსის პანდემიის დროს



- 1** **გაეცანით დაავადების საფუძვლებს.** რა არის მიხი სიმპტომები? როგორ ვრცელდება? როგორ სხვა დაავადებებს ჰგავს? აღნიშნული ინფორმაცია დეზინფორმაციის წინააღმდეგ შეგანაკრავთ.
- 2** **ევიდენციის წყაროსთან დაკავშირებით გამოიჩინეთ სიფრთხილე.** თავდაპირველად, თითქმის შეუძლებელია იმის დადგენა, თუ საიდან დაიწყო ევიდენცია, განსაკუთრებით თუ საქმე ახალ დაავადებას ეხება. შეთქმულების თეორიების მიხედვით გამოიჩინეთ სიფრთხილე.
- 3** **გადაამოწმეთ ევიდენციასთან დაკავშირებით გავრცელებული სურათები, ვიდეო და აუდიო მასალა.** მსგავსი სიტუაცია კონტაქტთან ან მოკლევადიანი ან შეცდომის შედეგად ვიზუალური მასალის განსაზღვრებად შეიძლება ხელსაყრელია. კონტაქტის დახადებულ გამოცხადებულ სურათის ძვანის საშუალებები
- 4** **თქვენ გადაამოწმეთ ინფიცირების შემთხვევებისა და გარდაცვალების რაოდენობა, ასევე, სიკვდილიანობის კოეფიციენტი.** აღნიშნული მონაცემები ევიდენციის დროს შედგინდნენ იცვლება, ხოლო ინფორმაციის გობიერთი წყარო სხვაგვარ უფრო გუსტია.
- 5** **ყურადღება მიამცით დაავადების ნაკლები შემთხვევებისა და ნაკლები სიმპტომების გავრცელების მცდელობებს.** ევიდენციის ზოლიტიზება ხშირად ხდება. იქნებან ადამიანები, რომლებიც სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეტრიალებას ან განთქმების ვაცის შექმნას ეცდებიან.
- 6** **ოფიციალური წყაროების გარეშე, ნუ გააგინებთ დაავადების პრევენციის ან მკურნალობის შედეგებს.** ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეთ, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისგან ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისგან მიიღეთ.
- 7** **მოიძიეთ ინფორმაცია იმაზე, რაც ჯერ კიდევ უცნობია.** თუ დაავადება აქამდე უცნობი იყო, შეუძლებელია გამოიყვანო, თუ როგორ ვრცელდება ის და ვინ არის რისკის ქვეშ. ნუ გახდებით ალტერნატიული ახსნების მსხვერპლი.

## 4. ორჯერ გადაამოწმეთ ინფიცირების შემთხვევებისა და გარდაცვალების რაოდენობა, ასევე, სიკვდილიანობის კოეფიციენტი

აღნიშნული მონაცემები სახელმწიფო მოხელეების მიერ ევიდენციის სიმწვავის გასაზომად გამოიყენება და ისინი ყოველდღიურად იცვლება. ეს გარემოება კი მოქმედებული ინფორმაციის [კონტექსტიდან ამოგლეჯილად](#) გამოიყენების, ან უარეს შემთხვევაში, მონაცემების [გაყალბების](#) საშუალებას იძლევა. დაავადების მიერ გამოწვეული შედეგების შესახებ ოფიციალური მონაცემების მისაღებად იხილეთ



ჯანმო-ს [მობსენებები](#) (2019 წლის კორონავირუსის პანდემიის შესახებ [მაგალითები იხილეთ აქ](#)).

საქართველოს შესახებ ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ მთავრობის ვებგვერდს - [www.stopcov.ge](http://www.stopcov.ge), რომელიც სპეციალურად კორონავირუსთან დაკავშირებით შეიქმნა. ასევე, შეგიძლიათ, ეწვიოთ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის [ვებგვერდს](#). საიდანაც ოფიციალური და გადამოწმებული ინფორმაცია ვრცელდება.

#### **5. ყურადღება მიაქციეთ დაავადების ნაკლებმნიშვნელოვნად წარმოჩენის ან საფრთხის გადაჭარბებულად წარმოდგენის (პანიკის ხელოვნურად დათესვის) მცდელობებს**

ეპიდემიების დროს მისით მანიპულირება ხშირად ხდება. იქნებიან ადამიანები, რომლებიც სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეტრიალებას ან პირიქით, ეპიდემიის სხვაზე გადაბრალებას ეცდებიან. ყურადღება გაამახვილეთ ისეთი სახის განცხადებებზე, რომლებიც ეპიდემიის გავრცელების მიზმას კონკრეტული პოლიტიკოსის, პარტიის ან [ადამიანთა ჯგუფისთვის](#) ცდილობს. ეპიდემიებს სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი შეიძლება, ჰქონდეს, ხოლო დადანაშაულება ყველაზე მარტივია.

#### **6. ოფიციალური წყაროების გარეშე, ნუ გააზიარებთ დაავადების პრევენციის ან მკურნალობის მეთოდებს**

დაავადების პრევენციის ან მკურნალობის მეთოდებზე სოციალური ქსელის პოსტები მსოფლიოში ზუსტად ისეთი სისწრაფით ვრცელდება, როგორც თავად ეპიდემია. ცრუ ინფორმაციის ნაწილი, როგორცაა კორონავირუსისგან განსაკურნავად [მათეთრებელი სითხის მიღება](#), ჯანმრთელობისთვის შესაძლოა, საზიანო იყოს, ხოლო ზოგიერთი მათგანი [უწყინარია](#) (მაგალითად, კორონავირუსისგან თავის დასაცავად ნივრის მიღება), თუმცა საბოლოო რეზულტატი ერთი და იგივეა: ცრუ ინფორმაციის გავრცელება. ამიტომ, თავის დაცვის მიზნით, სწორი ინფორმაციის მისაღებად [დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს](#), [ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას](#) ან ჯანდაცვის ადგილობრივ საჯარო თანამდებობის პირებს მიმართეთ.

ამასთანავე, შეგიძლიათ იხილოთ „ფაქტ-მეტრის“ მიერ მომზადებული მასალები კორონავირუსთან დაკავშირებული [მიტების](#) შესახებ, ან ეწვიოთ მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდს - [www.stopcov.ge](http://www.stopcov.ge), სადაც ასევე გაანალიზებულია [ყალბი ინფორმაცია](#) მკურნალობის მეთოდებზე.

#### **7. მოიძიეთ ინფორმაცია იმაზე, რაც ჯერ კიდევ უცნობია**



სამწუხაროდ, ხშირად მეცნიერებმა დაავადებაზე ბევრი რამ არ იციან. ისეთი დეტალების დადგენას, რომელიც ეხება დაავადების გავრცელების გზებს, იმას, თუ რა შემთხვევაშია მის შეკავება შესაძლებელი და რამდენად მომაკვდინებელია დაავადება, შეიძლება რამდენიმე კვირა დასჭირდეს. (COVID - 19-ის [სიკვდილიანობის კოეფიციენტი](#) შესაძლოა, შეიცვალოს) ამასობაში, მანვე ან შეთხზული ინფორმაცია ონლაინსივრცეში სწრაფად ვრცელდება. ამის თავიდან ასაცილებლად, გამოიყენეთ ის ინფორმაცია, რაც დაავადებაზე უკვე ცნობილია და მოიძიეთ სანდო წყაროები, რომლებიც ღიად ამბობენ იმას, რაც ჯერ არ იციან.

„ფაქტ-მეტრი“ მზად არის გადაამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელშიც ეჭვი გეპარებათ. შეგიძლიათ მოგვწეროთ და ჩვენი გუნდი ეცდება თქვენს შეკითხვებს ამომწურავად უპასუხოთ. დაგვიკავშირდით ჩვენს [Facebook გვერდზე](#).

*რედაქტორის შენიშვნა: აღნიშნული სტატია თავდაპირველად Poynter Institute-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. სტატია კი [PolitiFact-ის](#) მიერ არის მომზადებული. FactCheck.ge ვთავაზობთ მის ქართულ ვერსიას, რომელშიც საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, დამატებითი რეკომენდაციებია მოცემული.*